## მომსახურების ხელშეკრულება 97/114

თელავი, 13 სექტემბერი 2016წ.

### §1 ხელშეკრულების მხარეები

ეს ხელშეკრულება დადებულია მხარეებს შორის:

ერთის მხრივ, თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თაეტრი ს/ნ231169641-, მისამართი: ქთელავი ერეკლე მე-2-ს მოედანი №7, ტელ.-597 74 75 07 , წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა გულიაშვილის მიერ, შემდეგში: „შემსრულებელი",

და

მეორეს მხრივ აიპ „დედოფლისწაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის„-ს დირექტორი- ნ.ჯიბლაშვილის მიერ, შემდეგში: „დამკვეთი".

### §2 ხელშეკრულების საგანი

(1) ხელშეკრულების საგანია: შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის მომსახურების გაწევა. (სპექტაკლის გამართვა 30 სექტემბერი 2016 წელი)

(2) მომსახურება მოიცავს:

1. ელენერგია
2. წყალი
3.
4. დასუფთავება
5. განათება
6. [illegible] მომსახურება
7. სცენა(მომსახურება)

(3) მომსახურების გაწევას შემსრულებელი უზრუნველყოფს თავისი ან/და მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით, მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

### §3 მხარეთა უფლებები და მოვალეობები

(1) დამკვეთი ვალდებულია:

1. შემსრულებელს და მის მიერ მოვლენილ სპეციალისტთა ჯგუფს შეუქმნას შეთანხმებული, სათანადო სამუშაო პირობები;
2. გადაიხადოს მომსახურების საფასური შეთანხმებული ოდენობით და ვადაში;
3. შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

(2) დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს შემსრულებლისაგან ინფორმაცია, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს შემკვეთს ინფორმაცია მომსახურების მიმდინარეობის შესახებ.

(3) შემსრულებელი ვალდებულია:

1. გაუწიოს დამკვეთს მომსახურება ამ ხელშეკრულებით შეთანხმებულ ფარგლებში;
2. მიაწოდოს ინფორმაცია დამკვეთს მომსახურების მიმდინარეობის შესახებ;
3. სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებისას დაუბრუნოს დამკვეთს მის მიერ გადმოცემული მასალები.

(4) შემსრულებელს არა აქვს უფლება დამკვეთის თანხმობის გარეშე სხვას გადააკისროს მის მიერ შესასრულებელი მომსახურება, გარდა ტექნიკური ხასიათის სამუშაოს შესრულებისა.

### §4 სახელშეკრულებო ვადა

(1) ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 31 სექტემბრამდე

(2) მომსახურების ვადა განისაზღვრება 1 დღე

### §5 მომსახურების საფასური

(1) მომსახურების საფასური შეადგენს 950 (ცხრაასორმოცდაათი) ლარს.

(2) შემკვეთის მიერ მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით მომსახურების გაწევიდან 5 დღის ვადაში)

(3) დამკვეთი ვალდებულია მომსახურების საფასურის გადახდის ვადის გადაცილებისათვის დამატებით გადაუხადოს შემსრულებელს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

(4)

(5) მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით შემსრულებლის შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

:

### §6 მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

(1) თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის.

(2)

(3) თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

(4)

(5) დაუძლეველი ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:

(6)

- ხანძარი და აფეთქება, წყალდიდობა, სტიქიური უბედურება;
- საომარი მოქმედება, აჯანყება, სამოქალაქო ომი.

(7) თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ შეატყობინოს დაუძლეველი ძალის არსებობის შესახებ, რის გამოც იგი ვერ ახერხებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

(8)

(9) ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

## §7 ხელშეკრულების შეწყვეტა

(1) ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს.

(2) დამკვეთს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

1. შემსრულებელი არ უწევს შეთანხმებულ მომსახურებას;
2. შემსრულებელმა დაარღვია ნაკისრი ვალდებულება.
3.

(3) თუ დამკვეთი არ გადაუხდის შემსრულებელს შეთანხმებულ ანაზღაურებას ან/და გადააცილებს გადახდის ვადას, მაშინ შემსრულებელს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება საზღაურის გადახდის ვადის დადგომიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ. ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ შემსრულებელმა წერილობით უნდა აცნობოს დამკვეთს შეწყვეტის საფუძვლის

(4) მითითებით.

(5) ხელშეკრულება შეწყდება ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინებით.

(6) ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს აუნაზღაუროს უკვე შესრულებული მომსახურების საფასური.

## §8 დამატებითი პირობები

(1) წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

(2)

(3) ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით გარიგების დადებით.

(4)

§9 მხარეთა ხელმოწერა

შემსრულებელი

ს.კ. 231169641

სსიპ თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მიმღები ბანკი -
სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება-
ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი- თლ შ 22

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი-708327186

სამხატვრო
ხელმძღვანელი:
პ.გულიაშვილი

დამკვეთი:ა(ა)იპ
„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი
, ს.კ. 428519739

მობ; 595 090510

დირექტორი:
ნონა ჯიბღაშვილი